გენდერული იდენტობის რეპრეზენტაცია ინგლისურენოვან ანიმაციებში (“Walt Disney Animation Studios”-ს ანიმაციების სოციოლინგვისტური ანალიზი)

სოფიო გიორგაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ინგლისურ ფილოლოგიაში ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: ანგლისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო გულიაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერისტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელბშიც ნაშრომი არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიო გიორგაძე

12.06.2023.

მადლობა

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ნინო გულიაშვილს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული კვლევაში, მაწვდიდა საჭირო მასალას, მეხმარებოდა წარმემართა სამაგისტრო ნაშრომი სწორი გზით და მაძლევდა შესაბამის უკუკავშირს.

მადლობას ვუხდი ილიას სახემწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, რომელმაც გამიწია დახმარება და მომაწოდა საჭირო მასალები.

აბსტრაქტი

დღესდღეობით ბავშვთა უმრავლესობას აქვს წვდომა ელექტრონულ ხელსაწყოებზე, იქნება ეს ტელეფონი, პლანშეტი თუ კომპიუტერი, რომელიც მათზე დიდ ზეგავლენას ახდენს. შესაძლოა ზრდასრულთა მსგავსად არ უყურებენ საინფორმაციო გადაცემებისა და სხვა სატელევიო პროგრამებს, მაგრამ პატარა ასაკიდანვე უყურებენ სხვადასხვა სახის ანიმაციებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ განვითარებასა და გენდერული იდენტობის ჩამოყალიბებაზე. ბავშვებში გენდერული როლების აღქმა/გაანალიზება 2-3 წლის ასაკში ყალიბდება; აღნიშნულ ასაკში კი ისინი დიდი რაოდენობით ანიმაციებს უყურებენ, რაც მათ გონებაზე მოქმედებს და უყალიბებს გარკვეულ აზროვნებას. ანიმაციის შემქმნებელები თავად ქმნიან თავიანთ სამყაროსა და დისკურსს, რომელსაც აქვს ძალა იმოქმედოს ბავშვთა გონებასა და მათ გენდერულ იდენტობაზე, ასევე სამეტყველო სტილებზე.

ანიმაციების ლინგვისტური კვლევა და მათი გაანალიზება მიზნად ისახავს დაადგინოს, თუ რა ზეგვალენას ახდენს აღნიშნული ბავშვთა გონებაზე, მათ გენდერულ იდენტობასა და მეტყველებაზე. აღსანიშნავია, რომ გენდერული როლები მკვეთრად არის გამოხატული მეოცე საუკუნის “Walt Disney Animation Studio”-ს ანიმაციებში, სადაც ქალთა უმრავლესობა დიასახლისის როლშია წარმოდგენილი. “Walt Disney Animation Studios” ანიმაციების კვლევის შედეგად ნათელი გახდა, რომ პროდიუსერები ქმნიან ახალ დისკურსს, რომელიც სრულებით არ ასახავს რეალობას, პირიქით ქმნის განსხავავებულ სამყაროს. კვლევაში განხილული იყო 4 ანიმაცია. ორი ანიმაცია, რომელიც მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში იყო ეკრანიზებული, ხოლო ორი ოცდამეერთე საუკუნეში. ანიმაციებს განვიხილავთ რობინ ლაკოფის, დებორა ტანენისა და სხვა სოციოლინგვისტთა თეორიების მიხედვით. ანიმაციებში გაანალიზებულია შემდეგი სამეტყველო აქტები: შეწყვეტინება, შეურაცხყოფა, მუქარა, კომპლიმენტები და კითხვების დასმა. კვლევამ ნათლად აჩვენა, თუ როგორი ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს ანიმაციებს ბავშვთა გენდერული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: გენდერი, გენდერული იდენტობა, სამეტყველო სტილი, გენდერული როლები, ანიმაცია , დისკურსის ანალიზი.

Abstract

Nowadays, most children have access to electronic devices, whether it is a phone, tablet or computer, which greatly influences them. They may not watch news and other television programs like adults, but from a young age they watch various types of animations that influence the formation of gender identity and their development. In children, gender and the analysis of gender roles are formed at the age of 2-3, and at this age they watch a large number of animations, which affects their minds and forms a certain way of thinking. Animation creators establish their own worlds and discourses that have the power to influence children's minds and their gender identities as well as speech styles.

Linguistic research and analysis of animations aims to determine the effects on children's minds, their gender identity and speech. It should be noted that gender roles are strongly expressed in the twentieth century animations of the "Walt Disney Animation Studios",where the main role of a woman is being a housewife. As a result of the research of "Walt Disney Animation Studios" animations, it became clear that the producers are creating a new discourse that does not fully reflect reality, on the contrary, it creates an alternative world. 4 animations were considered in the study. Two animations that were screened in the first half of the twentieth century, and two in the twenty-first century. Animations were discussed in terms of the theories of Robin Lakoff, Deborah Tannen, and other linguists. Following speech acts were analyzed in the animations: interruption, insult, threats, compliments and asking questions. The research clearly showed the influence that animations can have in the process of forming children's gender identity.

Keywords: Gender, gender identity, speech styles, gender roles, animation, discourse analysis.